# ცნობის ფურცელი

I წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** პარასკევი, 16 მარტი № 1411

[..]ეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: [..]ბრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
[..]ს-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში [..]ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-[..]ბაში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". **ტელეფონი № 372.**

14 მარტს ქ. ტფილისში გარდაიცვალა რუსის მწერალი

## ივანე ივანეს ძე სვედენცოვი

(ივანოვიჩი)

[..]ნსვენებულის გვამს შაბათს, 17 მარტს, დილის 10 საათზე, გამოასვენებენ თავის [..]გომიდან (ალექსანდროვის ქ., № 68) კუკიის სასაფლაოზე. (რ. 2—1).

## ქართული თეატრი

**შაბათს, 17 მარტს**

უკანასკნელი ვასტროლი ქუთაისის დრამატიული დასისა **ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით და გამგებლობით წარმოდგენილი იქნება

## ყაჩაღები

ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა.

[..]ლების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

[..]ნც-მორის როლს შეასრულებს გ. მესხიშვილი, ამალიას—ნ. ჩხეიძისა, კარლოს—თუთბერიძე და პასტორის—გ. გედევანოვი. (2—1)

ქართული თეატრი

კვირას, 18 მარტს 1901 წ.

[..]ერად არტისტის ფილ. ქორიძის მიერ გამართული იქნება

## [..]ონცერტი

[..]მონაწილეობას მიიღებენ: მომღერალი [..]ვ. გ. სარაჯიშვილი, ფორტეპიანოზე [..]ელი ქალი ეკ. გ. სარაჯიშვილი; [..]ტი მომღერალი ი. გ. კარგარეთელი, [..] შედგენილი ქორიძის მიერ ქართული და თვითონ ქორიძე. იმღერებენ ნოტებზე გადაღებულს ქართლ-კახურს, იმერულს, გურულს და მეგრულს სიმღერებს.

კონცერტიდან შემოსული ფული მოხმარდება ქართულის მუსიკის ბეჭდვის და დაარსების საქმეს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $8^1/_2$ საათ. საღამოს. (3—1)

### მთავრობის განკარგულებანი

**სამხედრო უწყებას:**

მე-77 ტენგინის პოლკის პოდპრაპორშჩიკს ყ ი ფ ი ა ნ ს ებოძა პოდპორუჩიკობა.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

14 მარტი.

**კიევი.** დაიწყო ნაოსნობა მდ. დნეპრზე კიევსა და ეკატერინოსლავის შუა.

**გროდნო.** 8 მარტს დიდი თოვლი მოვიდა; 12 გრადუსი სიცივეა.

**ტამბოვი.** თბილ ამინდების შემდეგ მოვიდა დიდი თოვლი და ყინვები დაიჭირა; ეხლა ისევ დათბა; მზეზე 8 გრადუსი სითბოა.

გუშინ და დღეს ყოვლად უსამღვდელოესმა გიორგიმ გადაიხადა სამადლობელი პარაკლისები უწ. სინოდის ობერ-პროკურორის პობედონოსცევის განსაცდელისაგან გადარჩენისა გამო. პარაკლისებს დაესწრნენ კონსისტორიის მოხელენი და ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელთა შეგირდები.

**კაპშტადტი.** შავი ჭირი საგრძნობლად ძლიერდება. ევროპიელებიც ბევრი ხდება ავად. სიმონსტაუნში ავად გახდა შავი ჭირით ედლოფლის პოლკის ჯარის კაცი. გრინგოიტში—ირლანდიის პირველ პოლკის და მეციხოვნე არტილერიის ჯარის კაცები; სიმონსტოუნში გარდაიცვალა საზღვაო უწყების ერთი მოხელე; გარდა ამისა ავად გახდა 8 მკვიდრი მცხოვრები და ორი ევროპიელი, მკვიდრთაგან ერთი კიდეც გარდაიცვალა.

15 მარტი.

**პეტერბურგი.** დაინიშნენ: მინისტრთა კომიტეტის კანცელარიის განყოფილების უფროსი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ვუიჩი მინისტრთა კომიტეტის საქმეთა მმართველის მეორე თანაშემწედ; მე-2 გვარდიის კავალერიის დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ოსტროგრადსკი კავალერიის გენერალ-ინსპექტორის თანაშემწედ.

**ჰელსინგფორსი.** 5 თებერვალს მომხდარ უწესოებათა გარჩევა გადაიდვა 9 აპრილისათვის.

**ტიანძინი.** ინგლისელები აპირებენ რკინის გზის გაყვანას პეკინიდან ტუნჩჟოუმდე.

**ლონდონი.** კიტჩენერი დეპეშით იტყობინება პრეტორიიდან: „ჩვენი დანაკლისი ბაბინგტონისა და დელარეის ჯარების შეტაკების დროს არის შვიდი დაჭრილი და ორი მოკლული. ბურებმა დაჰკარგეს 22 მოკლული და 30 დაჭრილი. უეჭველია ბურებს მეტი ზარალი მოუვიდათ."

**ვენა.** რუსეთის საელჩოში გამართულ იქმნა მუსიკალური სალასო, რომელზედაც დაესწრნენ ერც-ჰერცოგინა მარია ანუნციატა და ჰერცოგი და ჰერცოგინა კუმბერლანდსკები, მინისტრები და დიპლომატები.

## ყურნალ-გაზეთებიდან

✿ დეპუტატმა ტეილორმა ინგლისის დეპუტატთა პალატაში თხოვნა წარადგინა. ამ თხოვნაზე ხელი უწერია 29 ათას ქალს, რომლებიც ლანკაშირის ფაბრიკებში მუშაობენ. ისინი თხოულობენ, რომ ქალებს პარლამენტარული საარჩევნო უფლება მიენიჭოთ.

✿ ავსტრიის პარლამენტთან არსებობს სოციალური პოლიტიკის კომისია; ამ კომისიამ ამას წინად თავის წევრებ შორის საგანგებო კომიტეტი აარჩია და დაავალა, რომ კომისიას მოხსე-[..]

## ფელეტონი

[..]თველთა წარსულის საუკუნის [..]რატურა, მისი მოსალოდნელი და სასურველი მომავალი.

IV

ბ. ს. მგალობლიშვილი

[..]რი „ღამის მეხრე ცეცლო"-სი, რო-[..]ვიცით, ხალხის მოტრფიალე მწერა-[..]. მგალობლიშვილის და მისი სკო-[..]ერლები იმ აზრის არიან, რომ ხალ-[..]ლის სიკეთით აღსავსეა და მხოლოდ [..]ება არ აძლევს ნებას ეს სიკეთე [..]თ გამოიჩინოს, ხალხი ყოველთვის [..]ს ღირსების არის და სრული, თუ [..]სი მოძმე და ბატონი ტვინს არა [..]ს და სიცოცხლეს არ უმწარებდესო. [..]ება ბევრი სამართლიანიც იყოს [..]ში, მაგრამ, როგორც ყოველი აზრი, [..]მორებულია სინამდვილეს. იქნება [..]ი სხვაზედ უფრო ნაკლებაც უახ-[..]ოდეს სინამდვილეს, ამაზედ ბაასი [..]წაგვიყვანდა და შემდეგში კიდევ [..]ა ბ. ს. მგალობლიშვილის ნაწერებ-[..]პარაკი და მაშინ მისი თხზულების [..]აზრსაც შევეხებით, ეხლა კი მო-[..]თ მისი აზრი ჩვენთვის საინტერესო [..]შესახებ.

[..]რს, რომელსაც ისეთი დიდებული აქვს, [..] ქართველს ერსა, სიკვდილი არ უწერია. [..]ა ამისთანა ერი დაიღალოს, სიკვდილის [..]აღწიოს, მიიძინოს კიდეც, მაგრამ ეს [..] დროებითი მიძინებაა, წარმოშობილი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ერისაგან დამოუკიდებელ მიზეზთაგან. ქართველმა ერმა საკმაოდ თვალ-საჩინოდ დაანახვა ქვეყანას, თუ რა ძალა ჰქონია ამ ერთ მუჭა ხალხს, რა ცით მონაბერის ნიჭით უთვილა იგი აღჭურვილი, რომელთა მეოხებითაც დაუცავს მას ეროვნება თვისის ქლფერითა, ენა და სარწმუნოება. მხოლოდ მძლავრს ერს, მძლავრს, განვიმეორებ, სულის ძალით, ნიჭით, მამულის მედგარის სიყვარულით შეეძლო ერად დარჩენა. იმ დროს, როდესაც აზიაში მცირე ხალხები შეიმუსრნენ, აღიგავნენ პირისაგან ქვეყნისა, ვითარცა მტვერნი, ანუ, თუმცა არ აღიგავნენ, გადარჯულდნენ, გადასხვაფერდნენ, შეუსისხლხორცდნენ უფრო მძლავრს ერებსა და მით დაჰკარგეს თავიანთი ვინაობა, საქართველოს ერმა კი გაიარა ათას ცეცხლსა და ნავთში და ძლეული გამოვიდა; მთელი აზია ჰქლამობდა მისს ჩაყლაპვას, მაგრამ იგი დარჩა ვითარცა «ვეცხლი გამოხურვებულ და გამოცდილ მიწით, და განწმენდილ შვიდ წილად». ამისთანა ერს, რომლის წარსულიც ბრწყინვალე შარავანდედით არის შემკული და გვინათებს შემდეგ თაობათა ძნელს სავალს გზასა, მომავალიც ბრწყინვალე მოელის. ეს არის ეხლა განვლილი საუკუნე თავმდებიაამისი: «შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამანტისა», და აი მცირე მიყუჩებისა და მიძინების შემდეგ ხალხის გენიამ იფეთქა და ამოადუღა მარგალიტები—მთელი რაზმი დიდებულის მგოსნებისა: ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, გრ. და ვახ. ორბელიანები, ამათ ზედ მოჰყვნენ ბელლეტრისტები—დ. ჭონქაძე, გრ. რჩეულაშვილი, ლ. არდაზიანი; მესამოცე წლებიდან ხომ იფეთქა ჩვენმა ცხოვრებამ და დაჰბადა დიდებულნი პოეტნი, ბელლეტრისტნი და პუბლიცისტნი. მას შემდეგ ისე ათეულს წელს არ გაუვლია, რომ ამ რაზმს არ შემატებოდეს თითო-ოროლა ნიჭით გასხივ-ცისკროვნებული მწერალნი: ალ. ყაზბეგი, ეგ. ნინოშვილი, ნიკ. ლომაური, ეკ. გაბაშვილი, მელანია და სხვ. ეხლაც დიდებულად იღწვიან ეს უკანასკნელნი ხმანი, მათ გვერდში ამოუდგა ახალი გუნდი დიდებულ და ღრმა ნიჭით მოსილ მწერალთა, როგორნიც არიან შ. არაგვისპირელი, დ. კლდიაშვილი და სხვ.. რასაკვირველია, ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურა იმ დიდებულს წერტილზედ არა სდგას, როგორც ჩვენს გულსა ჰსურს, მაგრამ ამას ხელს უშლიდა და კიდევაც უშლის ბევრი ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები. არის ისეთი მიზეზებიც, რომელთა დარღვევა ადვილად შეგვიძლია. ჩვენის წარსულის შესწავლა გვაკლია ეხლანდელს მოღვაწეებს, წარსულში ბევრი ფას დაუდებელი სიუჟეტებია, რომელთა გარდაქმნა ისტორიულ რომანებად, მოთხრობებად და დრამა-ტრაგედიებად ელის მცოდნე ხელს, უმაღლესის ნიჭით დაჯილდოვებულებს. ამას უნდა დაეწაფოს ჩვენი მწერლობა, რომ ასახელოს მამული და თავისი თავიც ისახელოს. მე მგონი, რომ ეს ერთი დიდი მიზეზია, რომელიც აბრკოლებს ჩვენის მწერლობის გაფურჩქნება-აღორძინებას: მწერლობა ჩვენში პროფესიონალურ საგნად არ არის გამხდარი, იგი არ შეადგენს სამუდამო ხელობას, როგორც ძველს დროში ჩვენთა წინაპართა ცალს ხელში ეპყრათ ხმალი და მეორეში ჯვარი, ისე ჩვენს მწერლებს მარჯვენა ხელში უჭირავთ კალამი და მარცხენათი ეზიდებიან ცხოვრების ჯვარსა, ტვირთსა მძიმესა: ჩვენი მწერალი ერთსა და იმავე დროს კანცელარიაში ირთმევს სულს და მერე დაღალულ-დაქანცული ჰკიდებს სამწერლოდ კალამს ხელსა. მოვა დრო,—ესეც აღარ იქნება; მოვა დრო და შუქი განათლებისა გამოუღებს კარს ჩვენს ხალხს, ჩვენს «ტეტიას» და მაშინ მძლავრად დაიწყებს ჩქეფას ხალხის გულიდან დიდებული ცხოველს-მყოფელი ნაკადული. თუმცა ეხლანდელი ჟამთა-ვითარება შავ-ბნელს აზრებს ამიშლის ხოლმე თავში, ერთს წამს სასოწარკვეთილებას მიმცემს ხოლმე, მაგრამ ანაზდეულად თვალ-წინ გამივლიან დიდებული სურათები ჩემის წარსულისა და აწმყოს მოღვაწეთა და გული კვალად იწყებს სიამოვნებით ფეთქვას. ტირილი რა ხელ-საურელია:

> „ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
> ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
> ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!..."

გულს ნუ გავიტეხთ აწინდელის ვითომდა დაქვეითებით; ამიტომ მეც, საყვარელ შიოსთან ერთად, დავიგალობებ «მრწამსსა» და მასთან ერთად შეერთებით ამაყად ვიტყვი: «მრწამს, რომ ჩვენს ლიტერატურას ბრწყინვალე მომავალი მოელის, მრწამს, თუმცა ამ «მრწამსში» ბევრი ნადველიც ურევია.

ს. მგალობლიშვილი".

V

ქ. განდეგილი

ქ-ნ. განდეგილი ცნობილი მწერალი ქალია ჩვენში. სიამოვნებით წაუკითხავს ყველას, ვისაც კი ჩვენი ლიტერატურა საინტერესოდ მიაჩნია, მისი ლექსების თაიგული. ბოლოს დროს, მართალია, მოუძვირა წერას პატივცემულმა პოეტმა, მაგრამ იმედს არა ვჰკარგავთ, რომ მის მუზას კიდევ დაუდგება აღფრთოვანების ხანა. აი ქ. განდეგილის აზრი ჩვენის ლიტერატურის შესახებ.

«მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი უტყუარი თავდებია იმისა, რომ ჩვენი მწერლობა წარმატების გზას დაადგა. მე დარწმუნებული ვარ, ასეთი თან და თანობითი წინ სვლა საპა-

ნება წარმოუდგინოს შესახებ იმისა, თუ მადნის მუშებმა რამდენი საათი უნდა იმუშაონ დღეში. ეხლა ამ კომიტეტს ერთი თავისი წევრის მოისვოლის წინადადება მოუწონებია. ეს წინადადება შემდეგია: მადნის მუშებმა, რომლებიც დღისით მუშაობენ, 9 საათზე მეტი არ უნდა იმუშაონ ყოველ დღე; გარდა ამისა 3 წლის შემდეგ ეს მუშაობა უნდა შემცირებულ იქმნას 8 საათამდე. მთავრობის წარმომადგენელმა ამ წინადადების წინაამდეგ ილაპარაკა. კომისიის მომხსენებელმა კოლიშერმა უარი თქვა თავის თანამდებობაზე და იმის მაგივრად კომიტეტმა ამ წინადადების მოთავე მოისვოლი აარჩია.

✿ ინგლისელმა დეპუტატმა კოლინგსმა ჯონ რედმონდს წერილი გაუგზავნა. კოლინგსი არწმუნებს ირლანდიელების მეთაურს, რომ თავის დღეში არ მითქვამს ის სიტყვები, რომლებიც გაზ. «დეილი პოსტ»-მა მომაწერაო და რომლებიც ასე საწყენია ირლანდიელი დასისათვისაო. «მე არ მითქვამს, —სწერს კოლინგსი,—რომ ირლანდიელების დასი წარმოადგენს «სულ მდაბალი პირების ხროვასაო», მე ვთქვი მხოლოდ, რომ ირლანდიელი დეპუტატების საქციელმა, რომელმაც აიძულა თავმჯდომარე პალატაში პოლიცია შემოეყვანა, დეპუტატთა პალატის ღირსება დაამცირაო». ჰფიქრობენ, რომ რაკი ასეთი წერილი მიიღო რედმონდმა, ამ ამბავზე პარლამენტში ლაპარაკი აღარ იქნებაო.

✿ ინგლისური გაზეთები მეტად უკმაყოფილონი დარჩნენ იმ გარემოებით, რომ კიტჩენერის მოლაპარაკებამ ბოტასთან ფუჭად ჩაიარა. «სტანდარტ», «დეილი ტელეგრაფ», «მორნინგ პოსტ» და სხვა შოვინისტური გაზეთები ერთხმად აცხადებენ, რომ ბოტას უარის პასუხად ინგლისმა ახალი მაშველი ჯარი უნდა გაგზავნოს სამხრეთ-აფრიკაშიო. «დეილი მაილ»-ი ამბობს, რომ ამას იქით საშუდამოთ უნდა უარვყოთ ყოველი მოლაპარაკება ბურებთან და მხოლოდ სრული დამორჩილება მოვსთხოვოთო. «მორნინგ ლიდერ» ამბობს, რომ ინგლისს დიდი ხანია, რაც ამისთანა სამწუხარო ამბავი არ მოჰსვლიაო; ბოტას უარი იმას ჰნიშნავს, რომ ამის შემდეგ დაჭრილთა და მოკლულთა სია დღე და დღე მოიმატებსო და რომ ბურების რესპუბლიკების აოხრება და დადუპვა უკიდურესობამდე მიაღწევსო. ამასვე ამბობს «დეილი ნიუს»-იც.

✿ გაზ. «სტანდარტი» ამტკიცებს, ვითომ ბოტამ ზავზე მოლაპარაკება იმიტომ შესწყვიტაო, რომ ლორდი კიტჩენერი ბეჯითად თხოულობდა —კაპის მცხოვრებლები ამნისტიიდან (პატიებას) გამორიცხული ყოფილიყვნენო.

✿ ამას წინად ჩემბერლენმა ქალების კრების წინ სიტყვა წარმოსთქვა. ის ურჩევდა ინგლისელ ქალებს სამხრეთ-აფრიკაში გადასახლებას. «თქვენ ამით დიდ სამსახურს გაუწევთ ინგლისსაო, —უთქვა ჩემბერლენს.—ჩვენი კაცებიც იმაზე ერიდებიან სამხრეთ-აფრიკას, რომ იქ ცოლშვილიანობას და ოჯახობას ვერ ეკიდებიანო». როგორც გაზეთები იუწყებიან, ჩემბერლენს დიდი პროექტი შეუდგენია, რომ სამხრეთი-აფრიკა ინგლისელებით გაავსოს და ამნაირად ურჩი ბურების პაწია ერი ინგლისელებს წაალეკინოს.

დოქტორ ლეიდსის სიტყვით, კრიუგერს როცა შეუტყვია, რომ ჩემბერლენს ესეთი პროექტი შეუდგენიაო, თავის მხრივაც განუზრახავს, რომ სამხრეთი-აფრიკა სულ ისეთი ევროპიელი ხალხით გაავსოს, რომელთაც თვალის დასანახავად ეჯავრებათ ინგლისელებიო.

ქართული ანდაზისა არ იყოს, მართალია ჩემბერლენი არის ხერხში, მაგრამ არც თუ ბურები დადიან ტყეში.

✿ გერმ. გაზ. «ნაციონალ ცაიტუნგ»-მა ვრცელი წერილი უძღვნა ინგლისის მდგომარეობას აფრიკაში. ეს გაზეთი დიდ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ინგლისს ტრანსვაალსა და კაპის ახალშენს გარდა აფრიკის სხვა ნაწილებშიაც დიდი ინტერესები აქვსო. არა ნაკლები ინტერესები აქვს სუდანშიაც და ამ მხარეში ეხლა ბურებს მოულოდნელი შემწე აღმოუჩნდაო. სუდანში აჯანყდა «ახალი მაჰდი», რომლის ბაირაღ ქვეშ ათასობით გროვდებიან ინგლისის მფლობელობით უკმაყოფილო მკვიდრნი. ინგლისის ბატონობას აფრიკაში ახალი დიდი საფრთხე ემუქრება. ყველა ეს ძალიან სამწუხარო ამბებია ინგლისის ახალშენთა სამინისტროსათვის. შავი ჭირი და მაჰდის და სომალისების აჯანყება ხელს შეუწყობენ ბურებს. თვით ინგლისში ხალხი დაიქანცა ომისაგან; ამ ომის მიერ გამოწვეული ხარჯისა და მსხვერპლების წინაამდეგ ოპოზიცია უფრო და უფრო მატულობს. და აი სწორეთ ამ დროს ბოტამაც უარი შემოუთვალა მოლაპარაკებაზე; ეს ხომ სულ მეტი მეხი იყო ინგლისის ეხლანდელი მთავრობისათვისო.

✿ ბურებთან ომის მალე გათავებას, როგორც სჩანს, თვითონ კიტჩენერიც არ მოელის. ინგლისურ გაზეთებში დაბეჭდილია ლორდის კიტჩენერის ოფიციალური დეპეშა, რომელშიაც მთავარ-სარდალი ამბობს, რომ ვინც კი ჯარებისათვის თბილს ტანთსაცმელს შემოსწირავს, დიდის მადლობით მივიღებ, რადგანაც ზამთარი მოახლოვებულია და ომი, როგორც სჩანს, კიდევ გაგრძელდებაო.

✿ «სტანდარდ»-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ ბურებმა ორანჟის რესპუბლიკაში მომკეს ყანები, რომლებიც დათესეს გენერალის პრინსლოოის დამორჩილების შემდეგაო.

✿ თან-და-თან, თუმცა კი მძიმედ, კაპის ახალშენის მცხოვრებლები უერთდებიან ბურებს. შიპერის რაზმის ორი მესამედი კაპის მცხოვრებთაგან შესდგება.

✿ ბურების უფროსს პიტ ფურიეს, რომელიც ამას წინა ხელიდან გაუსხლტა ინგლისელებს, 1,200 ჯარის-კაცი ჰყავს და 2 ზარბაზანი აქვს. ფურიე ეხლა რადესბურგთან სდგას.

✿ ბურებმა დინამიტით ააფეთქეს ინგლისელების სამი მატარებელი დელაგოას რკინის გზაზე და ორი ოფიცერი და 7 ჯარის-კაცი ტყვედ წაიყვანეს. ეს მე-21 მატარებელი ააფეთქეს ბურებმა ამ რკინის გზაზე მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა კომატიპორტი დაიჭირეს.

✿ «დეილი მაილი»ს კორესპონდენტი იუწყება ამსტერდამიდან, რომ ჰოლანდიასა და ბელგიაში ბურები ვოლონტიორების რაზმებს ადგენენ სამხრეთ-აფრიკაში გასაგზავნადო. კორესპონდენტის სიტყვით, ჰოლანდიიდან, ბელგიიდან, ვესტფალიიდან, იტალიიდან და შვეიცარიიდან ორი ათასი ვოლონტიორი მიემგზავრება ამ დღეებში ჰამბურგიდან გერმანიის სამფლობელოში სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში და იქიდან ბრძოლის ველზე წავლენ. 6 თებერვალს წავიდა ჰოლანდიელების რაზმი ვანდირის უფროსობით. ყოველს ჯარის-კაცს, კორესპონდენტის სიტყვით, 50 გირვანქა სტერლინგი დაენიშნება წელიწადში ჯამაგირად.

✿ პრუსიის სეიმში ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, დეპუტატი იაჟჯევსკი ჩიოდა, რომ, პრუსიის მთავრობა მეტის მეტად ავიწროვებს პოლონელებსაო. ფინანსების მინისტრმა მიქელმა უპასუხა, რომ მთავრობის პოლიტიკა დამყარებულია პრუსიელების ეროვნულ გრძნობაზე და ამიტომ ამ პოლიტიკის გამოცვლა შეუძლებელი იქნებოდაო. «რადგანაც პოლონელები ცდილობენ, რომ პოზნანი მთლად ხელში ჩაიგდონ, ამიტომ საჭიროა, რომ ამ პროვინციაში გერმანელების [illegible] გა ეროთო. სხვათა შორის ამ მიზნით დაა ლია თანხა გერმანელი [illegible] თვის პოზნანში. რაც შეეხება იმ საჩივარ გერმანელები [illegible] ვაჭრებისა და ხელოსნებისაგანაო, უნდა ვ რომ ამაში თითონ პოლონელები არიან შავები, რადგანაც პირველად თითონ დაიწყეს ესეთი მოქცევა. პოლონელები ლობენ, რომ პრუსსიას მოჰშორდნენ, ამას ისინი ვერასოდეს ვერ მოახერხებენ. მანელები იძულებულები არიან თავიანთ დაიცვან. მთავრობა თხოულობს, რომ პო ლები ერთგული ქვეშევრდომები იყვნენ. რობა რომ დარწმუნებული იყოს მათ ე ლებაში, მაშინ ისე მოექცეოდათ, როგორ ერთი მთავრობა არ ექცევა. სანამ პოლო გერმანიის ერთგული ქვეშევრდომები არ ბიან, იმ დრომდე მთავრობა არ შესცვლ ვის პოლიტიკას და პოლონელებს თან უფლებას არ მიანიჭებს».

✿ «დრონი მეფობენ და არა მეფენი». გ ვლა დრო, გამოიცვალა თვით ამერიკე ზნე და ხასიათიც-კი.

ამას წინად ამერიკამ იდღესასწაულა პრეზიდენტის მაკ-კინლეის ახალი სამს ვადის დაწყება. 4 მილიონი დოლარი და ამ დღესასწაულზე, 30 ათასამდე ჯარის გაიარა ვაშინგტონში პრეზიდენტის წინ. გაზ. «მატენ»-ში დაწვრილებითაა აწერი დღე, დახასიათებულია თითონ მაკ-კინლ ამერიკელების ახალი ზნე და შეხედულ როცა პრეზიდენტი დაბრუნდა კაპიტო ხალხი დიდის აღტაცებით და მხურვალე ს ეგებებოდა თურმე.

«პრეზიდენტი ხშირად ქუდს უხდიდა და უკრავდა ხალხსა. იმას ძალიან სერიოზულ ჰქონდა, —ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუ ის იღებდა ამ სალამს, როგორადაც კაცი, მელიც თუმცა არჩეულია ამ მაღალ თანამ ბაზე, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ის მხ კუთვნილ პატივს იღებსო.

— ახ, რა მშვენიერია!—უთხრა ერთმ მა თავისს მეგობარ ქალს.

— ნაპოლეონსა ჰგავს, არა? —ჰკითხა მე

დიად, ამერიკელებს უყვართ თავიანთი პ დენტი, რომელსაც თავიანთ სამშობლოს ნა წარმომადგენლად და მისი ძლიერების ს

---

ტით სახელს მოგვიპოვებს. მართალია, ჩვენში ბევრჯერ უიმედოთ წამოიძახებენ: ახალი მწერლობა დაგვიკნინდა, ძველ მწერალთა მაგვარი აზრთა სიდიადე და სიმტკიცე აღარ მოსჩვივის მეცხრამეტე საუკუნის მწერალთა ნაწარმოებშიო, მაგრამ თუ ფხიზლის თვალით შევხედავთ ჩვენის მწერლობის გადასხვაფერებას და მასთან დროთა ბრუნვას, ნათლათ დავინახავთ, რომ ცხოვრების ცვალებადობამ დაჰბადა მწერლობის ცვალებადობა და, მაშასადამე, ძველთა და ახალ მწერალთა შორის აზრთა სხვა და სხვაობაც.

ამიტომ, მე ჩემის მხრით, არ ვეთანხმები გულ-გატეხილთა ასეთს დაღადს! დედა ყოველთვის შიშშია თავის ახლად ფეხ-ადგმული შვილის გამო: აი, სადაა წაიქცევა და ცხვირ-პირს დაიმტვრევსო; მაგრამ ეს განა იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ფეხს ვერ გაიწაფავს და სწორად სიარულს ვერ დაეჩვევა?

ყოველი საქმე, რომელიც ჩვეულებრივს ქერქს იცლის და სხვა სახეს დებულობს, სწორედ ახლად ფეხადგმულ ბავშვსა ჰგავს: ბევრჯელ წაიბორძიკებს, იქნება მწარე საგონებელში ჩააგდოს თავისი მოკეთე, მაგრამ ამ დროს უსასოება პირველი ნიშანია სააზროვნო იარაღის დაყრისა...

ჩვენმა მწერლობამ თავისი მიმდინარეობის ქსელი პირველ დასაწყისიდანვე დღემდე შეუწყვეტლად მოიტანა; მან თითქმის ყოველს ხანას ჩააქსოვა ეს ქსელი, შესძლო ამა თუ იმ დარგის ნაწარმოები, იმის და მიხედვით, რომელ ხანა გონებრივად წარმატების რაშვის საფეხურზე იყო და რა საზრდო უფრო აკმაყოფილებს ხალხის ამ დროინდელს სულიერს მოთხოვნილებას.

ცხოვრებასთან ამგვარად კვალ და კვალ მიმდევარი მწერლობა არის მწერლობა მტკიცე საფუძველზე დამყარებული და მეც სრული მორწმუნე ვარ, რომ მისი ზრდა-განვითარებისა და წარმატების გზისაკენ მიმდინარეობის შეჩერება ყოვლად შეუძლებელია, ისე, როგორც შეუძლებელია ვისამე ძალ-მომრეობამ შეაჩეროს კავკასიონის მკერდიდან გადმომქუხარე ჩანჩქარი, ეს წმიდა, ღვთიური ცრემლები პიტალო სალის კლდისა.

განდეგილი“.

ერთი კი უნდა შევნიშნოთ, არამც თუ მარტო ქ. განდეგილს, თითქმის ყველას, ვინც ჩვენს თხოვნას ყურადღება მიაქცია და წერილები მოგვწერა. ჩვენი სურვილი იყო გაგვეგო ამა თუ იმ ცნობილის მწერლის გინდ მოღვაწის აზრი წარსულის საუკუნის ჩვენის ლიტერატურის შესახებ, ე. ი. რა ხასიათისა და თვისებისა იყო ეგ ლიტერატურა, როგორი იყო აზრისა და შინაარსის მხრით. თანაც რა კი ამა თუ იმ ხანის ლიტერატურა ღვიძლი შვილია წინანდელის და მის ზედ გავლენის ქვეშე აღზრდილი, ყველა, ვინც კი გაითვალისწინებდა სავსებით წარსულის საუკუნის ლიტერატურას, ადვილად შეიძლებდა იმის გარკვევას, თუ რა გზას ადგია ან დაადგება ჩვენი მომავალი ლიტერატურა, რა ხასიათისა და ელ-ფერის იქნება და სასურველია ეს მისი მოსალოდნელი მომავალი თუ არა და რა არის სასურველი და სანატრელი ჩვენის მომავალის ლიტერატურისათვის. ამის მაგიერად ერთი მეორეს პოლემიკას უწევენ ჩემი პატივცემული კორესპონდენტები და ერთი თუ უიმედობას აცხადებს ჩვენის ლიტერატურის მომავლის შესახებ, მეორე იმედებით აღტაცებულია და სხვა. საგანი კი მაინც განურკვეველი რჩება. თუმც ყოველ შემთხვევაში ესეც კი არ არის ინტერეს მოკლებული, რადგან აქედან სავსებით ვსცნობთ ჩვენის მწერლების სასოებას თუ უსასოებას ჩვენის მწერლების ბედის შესახებ და თანაც იმას, თუ რამდენად აქვთ სიღრმე სიგანით შესწავლილი მათ საგანი.

გ. ა.

მე მომივიდა ზოგიერთი უსახელო წერილი და იმის გამო ვაცხადებ, რომ არც ერთ ამგვარ წერილს არ გამოვაქვეყნებ, რაც უნდა საინტერესო იყოს იგი, თუ სახელი და გვარი დამწერისა არ იქმნა აღნიშნული. ამასთან მივიღე ისეთი წერილებიც, რომლებსაც აწერია „შემდეგი იქნებაო“ და ამ „შემდეგს“ ერთობ დიდხან ველოდებით. ესეც ყოვლად უხერხულია და არც ესეთ წერილებს ექნება ადგილი გაზეთში, თუ „შემდეგიც“ არ მივიღეთ დროზედ.

გ. ა.

---

## გაკვრით.

(ქუთაისის ოპოზიციის წარმომადგენელთა საყურადღებოთ)

ხშირად გვაქვს ჩვენ მკითხველებთან ბაასი ქუთაისის საზოგადო საქმეების შესახებ. შეიძლება ზოგი მკითხველთაგანი ხანდის-ხან გვამტყუნებდეს ჩვენ, რომ მომეტებულ ყურადღებას ვაქცევთ დასავლეთ საქართველოს საქმეებს; მაგრამ ყველა დაგვეთანხმება იმ აზრში, რომ ჩვენი, ქართველური, საქმე დასავლეთისაკენ უფრო სჩანს, უფრო ჯერ-ჯერობით სასურველ ნიადაგზე არის დამყარებული. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ, რაც გვაქვს ხელში, ის არ დავკარგოთ, ან სასურველად, ჩვენი საერთო მიზნის თანახმად, მოვიხმაროთ. ამ აზრით, ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ქუთაისის გუბერნიის მოწინავე დასის მოღვაწეობას და რაც შეგვიძლიან ვებრძვით, ვეწინაალმდეგებით ჩვენი ცხოვრების პროგრესსიული მიმართულების შემაფერხებელ ძალას, მოვლენებს.

ყველა ჩვენებურმა მკითხველმა რომ ქ. ქუთაისში და მთელ ქუთაისის ბერნიაში ერთად-ერთი მომქმედი—მ რებთა უმრავლესობის წარმომადგ ელემენტი—ქართველობაა. არც ერ ერთო საქმეში იქ არსებითი საწინააღმ შეუთანხმებელი კითხვები არ უნდა ბობდეს სხვა-და-სხვა საზოგადოების ჯგ შორის; თუ დღეს დღეულობით თქილება არსებობს და ბრძოლა გამწვ ლია ამა თუ იმ პარტიის შორის, ეს, გორც არა ერთხელ გვქონდა აღნიშ პირადი, კერძო თავ-მოყვარეობა—პ მოყვარეობის მიზეზია. ასეთ მავნე ხა ბოლო უნდა მოეღოს: ის კაცი, ვინ გნებულია, განათლებული და იმდენა ტაცებულიკია თავის წვრილმანი ანგარ რომ მთელი ქვეყნის სარგებლობას, რესს ივიწყებს, ოღონდ დროებრივ ჯინი, მტრობა-შურიანობის მოთხოვნ დაიკმაყოფილოს, დასაზოგავი არ არ ზოგადოებისაგან ჩასაქოლავია.

ამნაირი, მთელი საზოგადოების ლატე კაცების საწინააღმდეგოდ განა ბულ ქვეყნებში, იქ სადაც ბრძოლა. გადოებრივ ინტერესისათვის გამწვა ლია, შემოღებულია ეგრეთ წოდე „ბოიკოტაჟი“. ყველა საზოგადოების წ ვინც კი ხედავს მავნე კაცის უკეთუ ქციელს, ზიზღით, უპატივცემულოთ ე ბა მას: ხელს არ ართმევს, თავს არ რავს; არავითარ საპატიო ადგილზე არ რებენ. მხოლოდ ამნაირად შეიძლებ სწორება ან განდევნა საზოგადო ას ზიდან ზოგიერთი კაცების, რომლ აფერხებენ, აბრკოლებენ საერთო საქმ

კატონი.

...და სთვლიან. მომაგონდა ერთი ჩეში მეგო...ის დიპლომატის სიტყვები: «ამ წუთს თქვენ ...ნახავთ «ფრაკიანს იმპერატორს».
...მე დავრწმუნდი, რომ დიპლომატი არა სტყუ...ა».
...იუ-იორკის უნივერსიტეტის რექტორს უთ...ს, რომ თუ ასე წავიდა საქმე, არ გავა 20 ...იწლადი და ჩვენ ვაშინგტონში იმპერატორი ...ოლდებათ.

## ი. ი. სვედენცოვი

(ნეკროლოგი)

14 მარტს, საღამოს, ტფილისში მძიმე ...ვმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კარ... ცნობილი რუსეთში ბელეტრისტი და ...ლიცისტი ივანე ივანეს ძე სვედენცოვი. ...ვენებული მწერლობაში ცნობილი იყო ...ოვიჩის ფსევდონიმით.

...არდაცვალებული ნიჟეგოროდის გუბერ... აზნაურისშვილი, დაიბადა 24 ნოემ... 1842 წელს. სწავლა მიიღო სამხედ... სასწავლებელში და შემდეგ კურსი ...თავრა სამხედრო აკადემიაში. სამხედრო ...ახურში ის მალე დაწინაურდა და რამ...იმე წლის განმავლობაში დაინიშნა პოლ... უფროსის ადიუტანტად. მაგრამ გულ...ილი და განათლებული ახალგაზდა ვერ ...რიგდა სამხედრო უწყების მკაცრ წყო...ებას და თავი დაანება სამსახურს. რუ...ში იმ დროს, იმპერატორის ალექსან... მეორის რეფორმების წყალობით, გა...ველებული იყო ლიტერატურაც და ...გადო მოღვაწეობაც. სვედენცოვი მხურ...ედ დაეწაფა ახალს ცხოვრებას და მალე ...მნა მხნე და ნიჭიერ წევრად იმ დროის ...გრესიულის დასისა. ახალგაზდა მწერა... ივანოვიჩი მიემხრო ნაროდნიკ-რადი...თა ჯგუფს და სიკვდილამდე არ უღა...ნია მათ იდეალებისა და პრინციპებისა...

...ანოვიჩმა გამოიჩინა პირველშივე ბე...რისტის ნიჭი და მრავალი მოთხრობა...ი დასწერა. უმეტესი ნაწილი მათგან ...ტამბა მე-70 და მე-80 წლების საუკე... ჟურნალებში: „სლოვო“, „დელო“, ...ეჩესტვენნი ზაპისკებში“, „რუსსკაია ...ში“ და სხვაგან. ზოგიერთი მისი მო...ობა იწვევდა მთელის რუსეთის განათ...ულ საზოგადოების ყურადღებას. გან...ებული არ იყო დიდი ნიჭის პატრონი, ...ამ მეტად კარგის მიმართულების, პა...სანი და ნიჭიერი მეთვალყურე ახალგაზ...ს ცხოვრებისა, გამსჭვალული ცხოვე... სიყვარულით ყოველ კარგისადმი, ნამ...ლი იდეალისტი. საუკეთესო მისი ნაწე...ა: «Записки полкового врача», «Исправ...ая дочь», «Сердце велѣло», «По тюрь...», «Никеша очнулся», «Провинціаль... очерки», «Пришелъ, да не туда» ...სხვა. შარშან გამოვიდა მისი ნაწერე... I და II ტომები, რომლებშიაც მოთავ...ლია პირველ ხანებში დაწერილი ბე...რისტული თხზულებანი. რუსეთის ჟურ...გაზეთობა თანაგრძნობით მიეგება ამ ...; „ნოვოე ვრემიაშიაც“-კი, რომლის ...თულებასთან არაფერი საერთო არ ...და განსვენებულს მწერალს, აღნიშნუ...ყო ივანოვიჩის სიმპატიური და პატი... ნიჭი და გრძნობით სავსე მოთხრო...ს ღირსება.

...რდა ბელეტრისტიულის ნაწერებისა ...ოვიჩი ხშირად სწერდა პუბლიცისტურს ...ლებს. ამათში ის გამოდიოდა მხნე და ...ცე რწმენის დამცველად მე-60 და მე-70 ...ის პროგრესიულის იდეებისა და საზო...ებრივ ინიციატივისა. ამ იდეებისა... მას არ უღალატნია მთელ თავის ...ცხლეში და სწორედ ამით იყო შესა...ვი გარდაცვალებული მწერალი. ბევრ...ისმა თანამოაზრემ გადაუხვია გზას, ...ამ ივანოვიჩი საკვირველის სისპეტაკით ...და ერთხელვე შეთვის-შესისხლ-ხორცე...ს რწმენა-პრინციპებს...

...ნში ივანოვიჩი ცნობილი იყო უფრო, ...ორც პუბლიცისტი. 1896 წლიდან იგი მუდმივ თანამშრომლად იყო გაზ. „ნოვოე ობოზ.“-ისა. აქ ყველაზედ უფრო ყურადღებას იწვევდა მისი ბრძოლა ბ. ველიჩკოსთან. ივანოვიჩი—ნაროდნიკ-იდეალისტი, ერთგული დამცველი მოწინავე იდეებისა, პატიოსანი რუსი, რომელსაც სძულდა ყოველგვარი ძალადობა, რასაკვირველია, ვერ მოურიგდებოდა ნამდვილ რეაქციონერის მოღვაწეობას.

განსვენებული კერძო ცხოვრებაში მეტად მშვიდი და პატიოსანის ხასიათის კაცი იყო; იშვიათი სიმართლის მოყვარე და გადამეტებულის წრფელის გულისა. ბევრი ვაივაგლახი და წვალება გამოუვლია, და ამან ადრე მოუსპო სიცოცხლეც.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო მწერალო და კარგო კაცო!

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, საღამოს 6 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის რუსის მწერლის ი. ი. სვედენცოვის (ივანოვიჩის) სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ადგილობრივ რუსულ, ქართულ და სომხურ რედაქციების წარმომადგენელნი და დიდძალი საზოგადოება.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა მოსთხოვა ტფილისის ქალაქის თავს წარუდგინოს მას საბჭოს დადგენილება და მთელი საქმის წარმოება შესახებ ქალაქის საარჩევნო ნაწილებად დაყოფისა.

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, ქ. განჯაში შეიკრიბებიან 19 მარტს ტფილისის, ბაქოს, ერევნის და განჯის გუბერნიის ბეითლები და საბეითალო ინსპექტორები. კრებას დაესწრობა აგრეთვე ბ. რემერი ამიერ კავკასიის საბეითალო ნაწილის გამგე.

✦ ოთხშაბათს, 14 მარტს, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნული შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა არ შესდგა სხდომაზედ მოწვეულ პირთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო და გადაიდო შემდეგისათვის.

✦ ბარისახოდან (თიანეთის მაზრა) გვწერენ: „მხცოვან მგოსნის რაფიელის გარდაცვალება ცოტა გვიან შევიტყვეთ და ამიტომ კვირას, 4 მარტს, შეიკრიბენ ასამდის ხევსურნი და ბარისახოვის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი რაფიელის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი რომ გათავდა, ხევსურებმა მოიყარეს თავი სკოლის დარბაზში და აქ მასწავლებელმა განსვენებულის ვინაობის ახსნით და მის კალმის ნაწარმოების შესაფერ ლექსთა კითხვით გააცნო ხევსურებს თავ. რაფიელი. ხევსურები ძალიან ყურადღებით ისმენდნენ მის ლექსებს და ძალიანაც მოეწონათ. ბევრმა მათგანმა, რომელმაც კი კითხვა იცოდა, მოისურვეს „რაფიელის წიგნიც“, მაგრამ ამნაირი წიგნის უქონლობისა გამო უარი გამოეცხადათ. ამიტომ კარგს იზამდა ერთ-ერთი ქართულ საზოგადოება გინდ „წერა კითხვის გამავრცელებელი“, გინდ „წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“, თუ რომ დაბეჭდავდა განსვენებულის მარტო იმ ლექსთა კრებულს, რომელნიც უფრო საინტერესოა ასეთ მდაბიო ხალხისთვის.“

✦ გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს მოსთხოვეს ცნობები კალიისა და სხვა მავნებელ მწერების მოსალოდნელ გავრცელების შესახებ, რათა იმ ცნობების მიხედვით ივარაუდონ, თუ რამდენი ფული იქნება საჭირო ამ მწერების წინააღმდეგ საბრძოლველად.

✦ პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ თვით ხაზინას ჰსურს დაამუშაოს ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნები. პირველად განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ცეცხლის ჩაქრობის საქმეს, რისთვისაც გადასდებენ საჭირო თანხას.

✦ ამიერ კავკასიის საბეითალო სამმართველოს განკარგულებაში გამოუგზავნიათ 10 სტუდენტი ხარკოვის საბეითალო ინსტიტუტისა, რათა მათ პრაქტიკულად შეისწავლონ საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმე.

ბათუმის მიდამოებში არსებულ ჭაობების გასაშრობად კიდევ თხოულობენ დამატებით კრედიტს. განზრახვა აქვთ ითხოვონ 150,000 მანეთი. ეხლა ამ საქმეს ბევრი ხალხი ადგია და, იმედია, ზაფხულამდე ბოლომდე მიიყვანონ იგი.

✦ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ბოგოროდსკი.

✦ ფინანსთა სამინისტრო საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად მინისტრთა კომიტეტის დადგენილებისა, ნებადართულია 1902 წლის 1-ლ იანვრამდის კიდევ იყოს ხმარებაში ქაღალდის ფული 25 მანეთიანი, თუმნიანი და ხუთმანათიანი 1887 წლის ნიმუშისა და ასმანათიანი 1866 წლისა. ამიტომ ხსენებულ ქაღალდის ფულს დაუბრკოლებლივ მიიღებენ მთავრობის ყველა კასსები მხოლოდ ამ წლის 31 დეკემბრამდე. ამ ფულის ნიშნები შემდეგია: 25 მანათიანის, თუმნიანის და ხუთმანათიანის ზედა პირი დაბეჭდილია ლურჯად მიხაკისფერ ფონზე. წელიწადები აღნიშნულია ქვეით: ხუთმანათიანზე (1887 წლიდან 1894-მდე)—მარცხნით, თუმნიანზე (1887 წლიდან 1892-მდე) და 25 მანეთიანზე (მარტო 1887 წლ.) შუაზე. ქვედა პირზე დახატულია შუაზე სახელმწიფო ღერბი, მომსხო ციფრით მარცხენა მხარეზე და მანიფესტიდან ამოწერილი მუხლებით მარჯვენა მხარეზე; ქვედა პირი დაბეჭდილია: ხუთმანეთიანი—ლურჯად, თუმნიანი—წითლად და 25 მანათიანი იისფრად. 100 მანათიანი ქაღალდის ფული—ლაჟვარდის ფერია, ეკატერინე II-ის სურათით.

✦ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს ბაჟი დაადოს საზღვარ გარეთ გასტანს ხე-ტყის მასალას. ბაჟისაგან განთავისუფლებულ იქნება დამზადებული, დახერხილი მასალა. ამ გვარად ტყის მრეწველებმა უნდა თვით გაიჩინონ სახერხი ქარხნები და დამზადებული მასალა გაგზავნონ საზღვარ გარეთ. ხსენებულ გადასახადის პროექტს განიხილავს განსაკუთრებული კომისია მომავალ აპრილის პირველ რიცხვებში.

✦ შაბათს, 10 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების ვასილ გაბუნიასი, რომელსაც ავაზაკობა ბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს გაბუნია დამნაშავედ უცვნია და გარდაუწყვეტია ყოველივე უფლებათა ჩამორთმევა, სამის წლის ვადით მადნის სამუშაოებში გაგზავნა და 60 როზგის დაკვრა. გაბუნიას ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია სამოსამართლო პოლიციაში, რომელმაც დაადგინა განთავისუფლებულ იქმნეს სასჯელსაგან გაბუნია და გარდაცემულ იქმნეს იგი ადმინისტრაციის განკარგულებაში.

✦ შაბათს, 17 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია, სხვათა შორის, ერთი საყურადღებო საქმე ბათუმის ოლქის მცხოვრებისა ალიბეგ სულეიმან აბაშიძისა და დურსენ კომახიძისა, რომელთაც ჰბრალდებათ ქალაქ ბათუმში პოლიციის მოხელის სანაიას მოკვლა და პოლიციის ბოქაულის სალაღაიას მოკვლის განზრახვა.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატამ 10 მარტს დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლითაც დამნაშავედ იქმნა ცნობილი რაჭის მაზრის მცხოვრები სილიბისტრო ჭელიძე კაცის მოკვლის განზრახვაში და მიესაჯა ზოგიერთი უფლებათა ჩამორთმევა და ორის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

✦ სოფ. იანეთიდან (ქუთ. მაზრა) გვწერენ: „იანეთლებმა დაადგინეს განაჩენი—აქაურ ერთ-კლასიან სამინისტრო სასწავლებლისათვის ააგონ ფიცრის შენობა; ერთი ნაწილი ადგილისა უკვე იყიდეს და დანარჩენიც ბ-ნმა გ. ჯვარიშეიშვილმა შესწირა. შენობა ნახევარ წლის ვადის განმავლობაში უნდა დაამთავრონ. დღეს სასწავლებელი ცუდ მდგომარეობაშია, რადგანაც იგი დაქირავებულს სადგომშია, მოსამსახურე არა ჰყავს და არც შეშა აქვს საკმაოდ“.

✦ სოფ. სურებიდან (გურია) გვწერენ: „ს. სურების საზოგადოება უგზოობის გამო ყოველ კუთხეებს მოწყვეტილია. ეს საზოგადოება მთა-გორიანია. უმთავრესი გზა, რომელიც დაბა ჩოხატაურიდან გადის და ახალციხეს ჩადის, მისდევს მდ. სუფსას; მხოლოდ ეს გზა შეიძლება გაკეთდეს ისე, რომ მაზე ურემმა გაიაროს, მაგრამ, რადგან ეს გზა დიდს ხარჯს თხოულობდა, დღემდე უყურადღებოდ იყო დატოვებული. დღეს კი ამ გზაზე გაცხარებული მუშაობაა. მთავრობას გაუგზავნია ნაღმის წამალი და იარაღები. მუშებს თავს ადგია გურიის გზების მეთვალყურე ბ. სიმონ გუგუნავა. ის ყოველ ღონისძიებას ხმარობს—ეს, მთელი გურიის საჭირო გზა დროზე გააკეთოს. საჭიროა, ადგილობრივმა მამასახლისმაც თავის მხრივ შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს ამ ფრიად საჭირო საქმეს“.

✦ სათანადო უწყებას განზრახვა აქვს შემოიღოს პრემიები (ჯილდო) იმ მაგარ სასმელებზე, რომელნიც გააქვთ საზღვარ გერეთ ბოჩკებით.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ თვის უკანასკნელს სხდომაზედ განიხილა მოხსენება—აღებულ იქმნეს თუ არა გოლოვინის პროსპექტზედ ანტონოვის სახლთან გამართული „ბუთკა“ ქვა-ფევილის გასაფართოებლად. რადგანაც ამ ბუტკის მოიჯარადრეთაგან ხვედრი საიჯარადრო გარდასახადი უკვე შეტანილია ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვაში, ქალაქის გამგეობამ დაადგინა ნება დაერთოს ბუტკის პატრონს იქონიოს იგი აღნიშნულ ადგილზედ მომავალ 1902 წლამდე, როდესაც ხარჯთ-აღრიცხვიდან გამოირიცხება აღნიშნული გარდასახადი.

✦ აგრონომ საკოვს დაურიგებია ტფილისის ახლო მდებარე სოფლებისათვის უსასყიდლოდ იაპონურ ხურმისა და სხვა ხეხილების ნერგები. იაპონურ ხურმას კარგი გასავალი აქვს და კარგ მოგებასაც მისცემს სოფლელებს.

✦ ტფილისის ქალაქის ლაბორატორიის გამგეს შეუტანია სასანიტარო-საექიმო საბჭოში მოხსენება შესახებ რძის ავკარგიანობის გამოკვლევისა და აგრეთვე პროექტი სავალდებულო დადგენილებათა, რომელნიც შეეხებიან რძის ნაწარმოების ვაჭრობას, მეთვალყურეობას და ძროხების შენახვას.

✦ ამიერ კავკასიის საერობო გზების შესაკეთებლად განზრახულია გადაიდოს 209,000 მან.

✦ სადალაქო ხელობის ოსტატები და შეგირდები სთხოვენ ტფილისის ქალაქის თავს, რათა გამოცემულ იქმნას სავალდებულო დაწესებულებანი შესახებ მათ დასვენებისა კვირა დღეებში ნაშუადღევის ორს საათიდან, როგორც ეს ჩვეულებაც ყოფილა. ეს თხოვნა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ხელოსანთა საერთო კრებაზე დაუდგენიათ არ დაიკეტოს სადალაქოები კვირა დღეებშიო. ქალაქის თავი შეეკითხა ამ საქმის შესახებ ხელოსანთა მოურავს.

✦ შაბათს, 9 მარტს, პოლიციის მე-9 ნაწილში გამოცხადდა ტფილისის მცხოვრები პირველი გილდის ვაჭარი ა. ციტოვიჩი და განაცხადა, რომ ჩემმა მოსამსახურემ, რაჭის მაზრის მცხოვრებმა ბეგლარ კუხიანიძემ, მომპარა სხვა და სხვა ნივთები სულ 90 მან. ღირებულობისა. პოლიციამ უკვე შეიპყრო კუხიანიძე, რომელსაც აღმოუჩინეს მოპარული ნივთები და დაუბრუნეს პატრონს, ხოლო კუხიანიძე პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

✦ ამავე დღეს პოლიციის მე-2 ნაწილში გამოუცხადებია ქვრივს სოფიო ბუღდანას ასულს გული-

შამხაროვისას, რომ სახლიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა მოჰპარა მას ორი ოქროს ბრასლეტი და ერთი ბეჭედი, ღირებული სულ 153 მან. ქურდობაში ეჭვი გული შამხაროვისამ განაცხადა თავის მზვარეულზე, რაჭის მაზრის მცხოვრებ მიტროფანე ქველის ძე წერეთელზედ. საქმის სინამდვილის გამოსარკვევლად პოლიცია გამოძიებას შეუდგა.

✦ 14 მარტს პოლიციის პირველს ნაწილში გამოცხადდა კათოლიკების ქუჩაზედ მცხოვრები ნადვორნი სოვეტნ. ლევ დეინი და განაცხადა, რომ დღეს ჩემი მსახური ქალიშვილი აპოლინარია ივანეს ასული იაკურნოვისა გადმოვარდა ეზოში აივნიდან და ძლიერ დაშავდაო. დაშავებული მიხეილოვის სამკურნალოში გაგზავნეს; იაკურნოვისა ისე მძიმედ არის დაშავებული, რომ ექიმების შემოწმებით მისი მორჩენა საეჭვოა თურმე.

✦ პოლიციის მე-6 ნაწილში სურფ-სარქისის ქუჩაზედ, მირზოევის სახლის ეზოში, ჩხუბის დროს ისმაილ ალავერდი-ოღლიმ დასჭრა მარცხენა გვერდში მამად ზეინალოვი, რომელიც მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

✦ სამშაბათს, 13 მარტს, პოლიციის მე-9 ნაწილში მიიყვანა პოლიციის მოხელემ პეტერბურგის ქუჩაზედ პაპიანცის სახლის გვერდით მიგდებული ახლად დაბადებული ბავშვი შემდეგი წერილით: „მოუნათლავია“. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

✦ პარასკევს, 8 მარტს, სტატ. სოვეტნიკ. პ. ა. ოდოროვსკიმ პოლიციის მე-2 ნაწილში განაცხადა, რომ მას სახლიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა მოჰპარა ოქროს საათი 50 მან. ღირებული. ოდოროვსკიმ ქურდობაში ეჭვი გამოაცხადა თავის მსახურ გორის მაზრის მცხოვრებ ვანო ხანჩალაშვილზედ. გამოძიება სწარმოებს.

## საყურადღებო პროექტი.

არის რუსეთში ერთი ცნობილი „ნაროდნიკი“ და სამეურნეო არტელების გამმართველი ლევიცკი. ბევრი მითქმა-მოთქმა და შეჯახება გამოიწვია მწერლობაში და სამეცნიერო საზოგადოებებში მისმა არტელებმა ამ უკანასკნელ წლებში. ერთნი—„ნაროდნიკები“—დიდს მომავალს უქადიდნენ მის არტელებს და თითქმის მოელოდნენ აგრარულ საკითხის გადაწყვეტას მისგან დაწყებულ საქმიდან; სხვებმა კი—უმთავრესად მარქსისტებმა—ოცნების ნაყოფად აღიარეს ლევიცკის არტელები და სრული დამარცხება უწინასწარმეტყველეს ენერგიულს ინიციატორს.

ბევრი სწერეს და ილაპარაკეს ლევიცკის მომხრეებმა, ბევრი მოსაზრება მოიყვანეს მის საქმის სასარგებლოდ, მაგრამ შეუბრალებელმა სინამდვილემ საგრძნობლად შეარყია ლევიცკის არტელების საქმე და ბევრს გაუცრუა იმედები, როგორც „ნაროდნიკების“ ზოგიერთ სხვა იმედებსაც დაემართა. ჯერ ლევიცკი და მისი მომხრეები არ დამცხრალან სრულიად, მაგრამ ის ცხადია, რომ სამეურნეო არტელების საქმე ვერ ხეირობს, როგორც მოელოდნენ...

ამ ჟამად ლევიცკი, რომელიც დაუღალავად განაგრძობს გამოკვლევას აგრარულ საკითხისას, კვლავ გამოდის საქვეყნოდ ერთის მეტად საყურადღებო პროექტით. ამ დღეებში მან გამოაქვეყნა წინადადება, რომელიც კიდევაც წარუდგენია უმაღლეს მთავრობისათვის.

აგრარული კრიზისი იმიტომ გამწვავდაო, ამბობს ლევიცკი, რომ კერძო მიწად-მფლობელობა არსებობსო, რომ ადგილ-მამულზე საკუთრების უფლება აქვს კერძო პირებსაო. საჭიროა არისო, რომ მოისპოს კერძო უფლება მიწა-წყალზეო და უკანასკნელი შეიქმნას ან საზოგადო, ან სახელმწიფო საკუთრებადაო, რომელსაც შემდეგ სახელმწიფო გასცემს მსურველთ თანახმად თხოვნისა და მოთხოვნილებისაო.

ეს აზრი ახალი არ არის, როგორც ჰხედავს მკითხველი, და, მაგალითად, ლევიცკიზე ბევრად უფრო წინედ ამერიკის შესანიშნავმა ეკონომისტმა ჰენრი ჯორჯმა იმავე საკითხის შესახებ შეიმუშავა მთელი თეორია ადგილ-მამულის ნაციონალიზაციისა. მაგრამ ლევიცკის აზრი შესანიშნავია პრაქტიკულის მხრით. ის გვითითებს მეტად მარტივს საშუალებაზე, რომლის მეოხებით შეიძლება მოხდეს ხსენებული დიადი საქმეო.

ლევიცკის წინადადება შემდეგია: დღეს, როდესაც ადგილ-მამული მემკვიდრეობით ან გაყიდვით, ან რაიმე სხვა გზით ახალ მფლობელის ხელში გადადის, ხაზინა იღებს ფულად დაწესებულს გარდასახადს საბუთის დამტკიცების დროს. ლევიცკის ამ გარემოებისთვის მიუქცევია ყურადღება და ამბობს, ნუ აიღებს ხაზინა ამ შემთხვევაში ფულსაო, არამედ, მის მიერ, ამ გადასახადის რაოდენობის მიხედვით ადგილ-მამულის შესაფერი ნაწილი დაისაკუთროსო. ლევიცკის გამოანგარიშებით, მთელის რუსეთის ადგილ-მამული მცირე ხნის განმავლობაში შეიქნება სახელმწიფო საკუთრებათაო.

როგორც ჰხედავთ, ლევიცკის ახალი პროექტი ორიგინალური და მახვილია, მაგრამ ორი საკითხი იბადება მის განხილვის დროს. თავდაპირველად საჭიროა გავიგოთ—მართლა იმდენათ მძლავრია ადგილ-მამულის მობილიზაცია რუსეთში, რომ ბევრი ხანი არ უნდა ლევიცკის პროექტის განხორციელებას, თუ ესეც ლევიცკის საკვირველ ოპტიმიზმმა გააადვილა და შესდეგ ისიც საკითხავია—მიიღებს თუ არა მთავრობა ლევიცკის წინადადებას. უკანასკნელ საკითხის შესახებ თვით ლევიცკი ამბობს ცოტა რამ სანუგეშოს: მას ქაღალდი მოსვლია ფინანსთა მინისტრისაგან—თქვენი პროექტი მე გადმომცესო და უთუოდ ბეჯითად განვიხილავო. ხოლო პირველ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა სტატისტიკას მიჰმართონ... ასეა თუ ისე, ლევიცკის ახალი პროექტი საყურადღებოა და უთუოდ გმოიწვევს მწერლობაში დავას, როგორც მისმა არტელებმა გამოიწვიეს.

## პროვინცია

**ქ. ფოთი.** კვირას, 11 მარტს, აქაური ახალგაზრდობა შეიკრიბა კლუბის დარბაზში და მოლაპარაკება ჰქონდათ ქ. ფოთში სცენის მოყვარეთა დასის დაარსების შესახებ. საქმე ის არის, რომ ხშირად აქაური საქველ-მოქმედო საზოგადოებანი იძულებულნი არიან საქველ მოქმედო მიზნით წარმოდგენა გამართონ. ასეთ წარმოდგენას საზოგადოება ბლომათ ესწრება, რაკი იცის მიზანი ჩინებული და პატიოსანი. ამ მიზნით კი აქ ხშირად იმართება წარმოდგენა, რადგან ამას აქაური დაწესებულებანი საჭიროებენ. მაგალითად, ასეთი დახმარებით სულდგმულობს აქაური საქალებო სასწავლებლის საქველმოქმედო კომიტეტი; ასეთსავე მდგომარეობაშია ჩაყენებული ის კომიტეტი, რომელსაც მიზნად აქვს საქალაქო სკოლის ღარიბ მოწაფეთა უთვალავი დახმარება აღმოუჩინოს, ასეთივე დახმარება ესაჭიროება, რასაკვირველია, აქაურ საჯარო წიგნთ-საცავსაც. კრებამ დაადგინა დაარსებულ იქმნას სცენის მოყვარეთა მუდმივი დასი, რომლის მიზანი იქნება წარმოდგენა გამართოს აქაურ დაწესებულებათა სასარგებლოდ. როცა დასი დახელოვნდება და გამოიცდება, იგი იკისრებს აგრეთვე სხვა მიზნითაც გამართოს წარმოდგენები და ამით დახმარება გაუწიოს სხვა საზოგადო ქართულ საქმეებს, ხოლო ყოველი წარმოდგენის წმინდა შემოსავლიდან, უეჭველად, გადაიდება სცენის მოსაწყობათ და ტანისამოსის შესაძენათ რამოდენიმე ფული, დანარჩენი კი გარდაეცემა იმ დაწესებულებას და საქმეს, რომლისათვისაც იქნება გამართული სადამო ან წარმოდგენა. ამ მოლაპარაკებისათანავე დასში „მონაწილეობის სურვილი განაცხადა რვა კაცმა და ოთხმა ქალმა.

დიმელი

## სასამართლო

1899 წლის 14 ივნისს ეკატერინოდარის ოლქის, სოფელ არმავირის ვაჭრის სიმონ მესნიანკინის მაღაზიიდან, ამავე გუბერნიის მცხოვრებს პეტრე ჟარიკოვსა, ქ. პენზას მოქალაქეს ფილიპე მალინსა და ქ. ორლის მცხოვრებს ივანე ანდრეევს მოუპარავთ 300 მანეთზე მეტად ღირებული ნივთები. როგორც გამორკვეულა სასამართლოში, საქმის გარემოება შემდეგია: ქ. ორლოვში ბრალდებული მალინი შესთანხმებია ჟარიკოვს ერთად მოეხდინათ ქურდობა. მართლაც მალინი და ჟარიკოვი გამგზავრებულან არმავირში, სადაც მალინს უყიდნია რაღაც იაფი საქონელი და ჩაუწყვია ყუთში, ხოლო ჟარიკოვს კიდევ—დიდი სკივრი, ჩაწოლილა შიგ და განუზრახებია მალინს წაეღო ეს ყუთი და სკივრი და მიებარებინა მაღაზიაში მესნიანკინისათვის, რაც კიდეც შეუსრულებია მას. ღამით სკივრიდან გამომძვრალა ჟარიკოვი და მალინის ყუთიდან გამოუყრია ეს იაფი სავაჭრო და ნაცვლად ჩაუწყვია ძვირფასი საქონელი მაღაზიიდენ, ყუთში დაუკეტია და თითონ ისევ გათენებისას ჩაწოლილა სკივრში. მეორე დღეს მოსულა მალინი და წაუღია სასტუმროში, როგორც ყუთი, აგრეთვე სკივრიც. ვიდრე ჟარაკოვი ამას ჩაიდენდა, მისის განცხადებით მალინს მიუგნია ერთი თავისი ნაცნობი, რომლისთვისაც უთქვამს—მათ შეამხანაგებოდათ და საამხანაგო ფულიც გამოელო, რითაც კიდეც შეუძენიათ ბრალდებულთ სულ იაფფასიანი საქონელი ყუთში ჩასაწყობად და მერე მაღაზიაში შესაცვლელად. სასტუმროში ჟარიკოვი ამომძვრალა სკივრიდან, შეუტყობინებიათ ანდრეევისათვის, რომ საქონელი უკვე ნაყიდია და წავიდეთ ეკატერინოდარში იარმუკობაზე სავაჭროდაო. სამივენი კიდეც გამგზავრებულან ეკატერინოდარში, სადაც ჟარიკოვს დაუწყია საქონლის ყიდვა და კიდეც 100 მან. გაუსაღებია. ანდრეევს აქაც არა სცოდნია, თუ ეს სავაჭრო მათ მოპარული ჰქონდათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ჟარიკოვს განუცხადებია ამხანაგებისათვის, რომ საჭიროა წავიდეთ ეკატერინოდარიდანაო და როდესაც მისულან სადგურზე, პოლიციას უკვე შეურჩევია დრო და ქურები დაეჭერია. ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის დროს მალინი გამოტეხილა თავის დანაშაულობაში და განუცხადებია სასამართლოში ისე, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ საქმის გარემოება. ხოლო დანარჩენთ ჟარიკოვს და ანდრეევს უთქვამთ, რომ მალინის განცხადება სიცრუეა და ჩვენ ამ საქმეში ბრალი არა გვაქვსო. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია სამივენი და გარდაუწყვეტია ყოველივე პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და თითოსათვის 2 წლითა და ნახევრით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ბრალდებულთ ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებიათ ტფილისის სამოსამართლო პალატის მეორე სისხლის სამართლის დეპარტამენტში, რომელმაც ეს საქმე განიხილა ოთხშაბათს, 14 მარტს. სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო სამივენი აღნიშნულს ბრალდებაში და გარდაუწყვიტა მათ ყოველივე განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და პეტრე ჟარიკოვს $2^1/_2$ წლით, ხოლო მალინსა და ანდრეევს 2 წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

I

პატივცემულის თქვენის გაზეთის 1409 №-ში მოთავსებული: „წერილი რედაქციის მიმართ“ ხიდისთავის სამკითხველოს წევრის ბ. ვარდენ კალანდაძისა დიდათ მაკვირვებს, რა განზრახვა ჰქონდა ბ. ვ. კალანდაძეს, როცა ამ წერილით გაზეთის ადგილი დაიჭირა. ნუ თუ ის, რომ საზოგადოებას გაეგო, რომ ის წევრია სამკითხველოსი და, მაშასადამე, იქ მას თავისი წვლილი აქვს შეტანილი? თუ ამაზე მეტი მიზანი არ ჰქონდა მის წერილს და მას აინტერესებდა მარტო მის მიერ მოხსენებული საქმის გარემოება, ამისათვის რა საჭირო იყო საზოგადო განგაშის დაკვრა? ამის გაგება მას შეეძლო სამკითხველოს შემოსავალ-გასავლის დავთრებიდან. თუ ამას არ ინებებდა შეეძლო ეკითხა თავის ძმისათვის, რომელიც იყო წევრი სარევიზიო კომისიისა. და რაიმე ბოროტ-მოქმედებაში დარწმუნებული, მე... შეეძლო გაზეთით ეცნობებინა საზოგადოებისათ... დავამშვიდებთ ბ. ვ. კალანდაძეს და მოკლედ... სუხს, როგორც ამ საქმის დაწვრილებით მცოდ... რადგან უკანასკნელ ხიდისთავის სამკითხველოს წ... ვრთა კრებაზე დავესწარი, საცა მოსმენილ და მი... ბულ იქმნა მთელი წლის ანგარიში სარევიზ... კომისიის მიერ შემოწმებული. დავთარში გა... რებული იყო შემოსავალთა შორის: თემ. ... ლანდაძის და სხ. პარკის ყიდვის დროს შემოსუ... 1 მ. და 90 კ. ამაზე თავისი ყურადღება მიექ... სარევიზიო კომისიას და კითხულობდა, თუ როგორ... სახით შემოსულა ეს ფულები. კრებაზე გამოირკ... რომ სამკითხველოს მოლარე ბ. თემ. კალანდა... როცა მისგან პარკის გამყიდველი ფულს ღებულ... ბდა, სთხოვდა „ბუჩული“ (კნინი ხურდა) დაეტო... ბინა სამკითხველოსათვის — ზოგი სტოვებდა ... 2, 3 კაპ., ზოგიც კიდევ თურმე დიდათ ჯავრ... ბდნენ. მხოლოდ ერთი გამოჩნდა, რომელსაც და... ტოვებინა 25 კაპ.. აი აბით შესდგა 1—90 კ... რისთვისაც მადლობა გამოეცხადა ბ. თ. კალანდა... და ეთხოვა შემდეგში იკისროს ამ გვარად შეკრე... მხოლოდ „თომა ურწმუნოთა“ ეჭირვების ასაშო... ბლად დადგმულ იქნება საკითხველოს ბეჭედ-დასმ... ლი ყულაბი.

აზ. წულაძე.

II

ბ. რედაქტორო! გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ... 1404 ნომერში იყო მოთავსებული ორიოდე სიტ... შესახებ დ. სამტრედიის დეპუტატებისა. ბ. კორ... პოდენტი ამობს, რომ წასულს წელს, დეკემბერ... ვაჭრებმა ამოირჩიეს სამი კომისიის წევრი და ერთ... თავმჯდომარე, რომლებსაც დაავალეს ხარჯის—1... მანეთის გაწერა მომავალ 1901 წლისთვის, მაგ... 150 მანეთის მაგიერ 210 მანეთს იღებენო. ეს ... რემოება სიმართლეს მოკლებულია, რასაც შემდეგ... დაგვანახვებს: წარსულის წლის 31 დეკემბ... შეიკრიბნენ სამტრედიელები სხვა და სხვა საქმეებ... განსახილველად. სხვათა შორის, მოხსენებული ჰქონ... დათ დაბისთვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა, რომლ... ჯამი თვიურად უდრიდა 195 მ. და 80 კ. და ა... 150 მანეთს, როგორც ბ. კორესპონდენტი ამბო... კრებამ ერთხმად დაამტკიცა ეს ხარჯთ-აღრიცხვა ... საქმის ქაღალდებსაც მოაწერეს ხელი. უთუოთ ბ. კ... რესპონდენტი არ ყოფილა იმ დღეს კრებაზედ, თორ... ეს შეცდომა არ მოუვიდოდა. იხსენიებს, სხვათა შ... რის, ბ. კორესპონდენტი დაბის გასავალში ბოქაულ... ჯამაგირს. ეს მაინც კარგად უნდა სცოდნებოდა მა... რომ დ. სამტრედია კარგა ხანია გაანთავისუფლ... ბოქაულის ჯამაგირის ხარჯისაგან; ეხლა მას ჯ... გირი ეძლევა ხაზინიდან. ბოქაულისათვის თუ რაიმ... იხდის ქალაქი, ეს არის კანცელარიის სანათისა ... შეშის ხარჯი.

კრებამ აირჩია ერთხმად რვა კომისიის წევ... (და არა სამი კაცი), რომლებსაც დაავალა საზო... დოებამ, რომ ეს 195 მანეთი და 80 კ. გაენაწილ... ბინათ ვაჭართა შორის შეძლებისა და გვარად. კ... სია შეუდგა საქმის ხისრულეში მოყვანას. მოითხ... 1900 წლის დავთარი, რომელშიაც მოხსენებუ... სახელი და გვარი ყველა ვაჭრებისა და მოხელეებ... და იმის და კვალად მოახდინეს ახალი გაწერა, რომ... ლიც 1901 წლის დავთარში ჩასწერეს, რაზედაც ხე... აქვს მოწერილი სარევიზიო კამისიას. რაც შეეხ... სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებას, ჩვენ არა... თარი ცვლილება არ მოგვიხდენია მაში. შეუდგ... ფულების გროვებას. ბ. კორესპონდენტის სიტყვ... ჩვენ ყოველ თვეში უნდა ვაგროვებდეთ შვიდ-... თუმანზე მეტს, ვიდრე საჭირო იყოს. ექვსი შ... თუმნის ზედმეტი აღებას კი არა, ყოველ თვ... გვრჩება აუღებელი ხან 10 მან. და ხან 5 მ. ... ძალასაც ვეღარ ვატანთ იმ პირებს, რომლებიც თა... დროზედ არ იძლევიან ხვედრს გადასახადსა და ... თვეში მისაღებს მეორე თვეში ვიღებთ. ვსთხოვთ ... კორესპონდენტს და აგრეთვე სხვებსაც, თუ ვინ... აქვს ეჭვი, მობრძანდნენ და მოგვთხოვონ დავთა... ჩვენ დიდის სიამოვნებით ყველაფერს ვუჩვენებთ ... მაშინ დაინახვენ სიმართლეს და სიმტყუვნეს ჩვენს...

ამასთანავე ბ. კორესპონდენტს ვსთხოვთ, რომ ა... ზედ მოგვცეს პასუხი და გვაცნობოს თავი ეგრე ა... რა ცილის დაწამებისათვის.

დაბა სამტრედიის მოვაჭრეთა დეპუტატ...

ი. ქართველიშვილი და დ. კირთაძე.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადა...


თხუზულება

**თ. რ. ერისთავისა**

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კონ... ში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთ... ეკკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинск... Издательское Товарищество.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Марта 1901 г.   სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27.